საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბუ

Caption

ბუ (Strix aluco), ფრინველი ბუსნაირთა რიგისა. გავრცელებულია ევრაზიასა და ჩრდ. აფრიკაში.

საქართველოში ბინადრობს, ტიპობრივი ტყის მცხოვრებია. ბუდობს ხის ფუღუროში, სხვა ფრინველების მიტოვებულ ბუდეში, სახლის სხვენზე, იშვიათად –კლდის ნაპრალში. მარტის ბოლოს – აპრილში დედალი დებს 2 – 4 კვერცხს, რ-თა ინკუბაცია გრძელდება 1 თვეს. ზომით ყვავისოდენაა, აქვს ფართო ფრთები და მოკლე ბოლო, შეფერილობა მონაცრისფრო-მოყვითალო ან მოწითუროა, გვხვდება მელანისტი ეგზემპლარებიც. აქვს ყვითელი ნისკარტი და შავი თვალები. იკვებება მღრღნელებითა და პატარ-პატარა ფრინველებით. ვერტიკალურად ზ. დ. 2400 მ-მდე აღწევს.

რ. ჟორდანია